განმარტება ხარვეზთან დაკავშირებით

მოგახსენებთ, რომ წარმოდგენილი სურათები გადაღებულია განაცხადის ჩაბარებამდე ორი დღით ადრე და დღეისათვის დროებითი ღობის მოწყობის გარდა, რაიმე სახის სამშენებლო სამუშაო ნაწარმოები არ არის. რაც შეეხება, კონტურს საკადასტრო რუკაზე შეთანხმებული პროექტისა და ნებართვის საფუძველზე, საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულია ბინების განშლა და ასაშენებელი შენობის კონტური სართულიანობის დატანით.

რაც შეეხება საჩივარს მოგახსენებთ რომ, ბოლო წერილი რომელიც ფიქსირდება გვერდზე მომჩივანის მხრიდან შემოსულია 23.06.2014წელს, ხოლო საპროექტო ტერიტორიაზე კორექტირებული პროექტი შეთანხმებულია 29.09.2015 ბრძანება № 2209309 და ნებართვა გაცემულია 09.10.2015 ბრძანება № 2226568 (№ 2286886 - 09.11.2015).